სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

სექტემბერი №9

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო-სასაზღვრო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2016

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
*registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009*

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki 'respublika~
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Corespondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 6 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 6

ISSN 1987-9156

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

ekonomikuri qronika / **Economic chronicles** ---------- 5-11

auqcioni / **auction**----------12-13

mecniereba: Teoria, meTodologia, meTodika, praqtika
Science: theory, methodology, techniques, practice

nika Sengelia,
ekonomikis akademiuri doqtori,
grigol feraZis sax. Tbilisis saswavlo universitetis profesori
savaluto, safondo da navTobis msoflio bazrebze arsebuli mdgomareobis safuZvelze evropuli valutis perspeqtivebi da prognozebi ---------- *14-21*

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ——-----————————-------————-— 22-70

instruqcia / **Instructions** ----------71-73

valutis kursi / **Exchange rate** _____ 74

gadasaxadebi #9, 2016

GADASAKHADEBI #9, 2016

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ECONOMIC NEWS

პრემიერ-მინისტრი GEM FEST 2017-ის პრეზენტაციას დაესწრო

2016-09-16

დარწმუნებული ვარ, 2017 წლის GEM FEST-ი იქნება გარდამტეხი, ანაკლიის საკურორტო ზონის ჩამოყალიბებაში და ერთი ახალი, ძალიან მძლავრი, სერიოზული კურორტი შეიქმნება საქართველოში, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა GEM FEST 2017-ის პრეზენტაციაზე განაცხადა.

პრემიერმა, ფესტივალის მონაწილეებს 2016 წლის GEM FEST-ის წარმატებით ჩატარება მიულოცა და აღნიშნა, 2017 წლის GEM FEST-ი, ახალი კონცეფციით, იქნება სრულიად სხვა დონის, ძალიან სერიოზული line up-ით და მეტი დამსწრე ადამიანით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

"30 ათას ადამიანზე მეტმა მიიღო სიამოვნება, ეს არის ამ ფესტივალის მთავარი მიღწევა და ამდენ ადამიანს დარჩება პოზიტიური, დადებითი მეხსიერება საქართველოს შესახებ. მილიონებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოს შესახებ და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ანაკლიის და მიმდებარე სოფლების მცოვრებლებმა მიიღეს დამატებითი შემოსავალი. ჩვენ ეს მიდამოები გაცილებით უფრო მიმზიდველი უნდა გავხადოთ. ძალიან მახარებს, რომ ამ ფესტივალის შედეგად, 30 მილიონზე მეტი დაიხარჯა და მთლიანად ეს თანხა წავიდა ადგილობრივი მცხოვრებლების შემოსავალში, მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში. დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდი მოთხოვნა გაჩნდება ახალ სასტუმროებზე, რესტორნებზე და ეს იქნება არა მარტო ანაკლიის და მისი მიმდებარე სოფლების, არამედ, საქართველოში ამ მიმართულებით, ტურიზმის განვითარებაში გარდამტეხი მოვლენა", - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა ფესტივალის დამფუძნებელ გიორგი სიგუას განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა, ახალგაზრდებს კი კარგი დროის გატარება უსურვა. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ფესტივალის წარმატებაში ყველაზე დიდია ახალგაზრდების წვლილი, რომლებმაც, თავიანთი დადებითი მუხტით, GEM FEST-ი პოპულარულად აქციეს.

"ბევრს ვერაფერს ვიტყვი. მე თქვენი სიხარულით ვხარობ. რომ გიყურებთ ამდენ ბედნიერ, პოზიტიურად დამუხტულ ადამიანს, მე თქვენი სიხარული მიხარია და ისეთივე ბედნიერი ვარ, როგორც თითოეული თქვენგანი. გილოცავთ ამ დიდ წარმატებას, დარწმუნებული ვარ, 2017 წელი იქნება სრულიად ახალი, კიდევ უფრო მძლავრი GEM FEST-ის ეტაპის დასაწყისი", - მიმართა პრემიერ-მინისტრმა ახალგაზრდებს.

პრემიერ-მინისტრმა, ფესტივალის წარმატებით ჩატარებაში შეტანილი წვლილისთვის, ასევე მადლობა გადაუხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ მიხეილ გიორგაძეს, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილს, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ლევან შონიას და მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროს ზურაბ ალავიძეს.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სივრცითი მოწყობის პროექტი ქვეყანაში 5 მილიარდი აშშ დოლარამდე ინვესტირებას გულისხმობს

2016-09-16

საქართველოს სივრცითი მოწყობის პროექტი, რომელიც მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ქვეყანაში დამატებით, დაახლოებით 5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირებას გულისხმობს, - როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, ეს არის, როგორც სახელმწიფო, სუვერენული ფული, ასევე კერძო სექტორიდან მოზიდული თანხა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს სივრცითი მოწყობა, გულისხმობს საქართველოს ყველა რაიონსა თუ სოფელში ერთ დონეზე ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფას, ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობას, რათა ყველა რეგიონს, რაიონსა თუ სოფელს ერთნაირად მიეწოდებოდეს ის მომსახურებები, რომელსაც სახელმწიფო მოსახლეობასა და კერძო სექტორს აწვდის.

„ეს გულისხმობს, პარტნიორობის მოდელების მეშვეობით, ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოს მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას - ფიზიკურ, თვისობრივ და ხარისხობრივ ცვლილებას, თანამედროვე, ევროპულ, ინფრასტრუქტურულად, სერვისებით, ელექტრომომარაგებით გამართულ სახელმწიფოდ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გეგმაა და მოხარული ვარ, რომ მისი განხორციელების დასაწყისში ვიმყოფებით. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ისტორიულად ძალიან მნიშვნელოვანი და წარმატებული გეგმა", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელი დირექტორის მოადგილეს, ტაო ჟანგს შეხვდა

15 სექტემბერი 2016

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელი დირექტორის მოადგილეს, ტაო ჟანგს (Tao Zhang) შეხვდა.

მხარეებმა იმსჯელეს საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის მიმდინარე და მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე.

შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა ისაუბრა ქვეყნაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე, მთავრობის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებზე. ბატონმა ჟანგმა დააფიქსირა საქართველოსადმი სსფ-ის მხარდაჭერა გამოწვევებთან ბრძოლის გზაზე და ახალი რეფორმების გატარების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, პირველი მინისტრია, ვისაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახლადდანიშნული განმკარგულებელი დირექტორის მოადგილე ბატონი ტაო ჟანგი შეხვდა.

შეხვედრას ქართული მხრიდან, ასევე, დაესწრნენ ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ლეჟავა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუა, აშშ-ში საქართველოს საელჩოს დესპანი გიორგი ციკოლია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა

15 სექტემბერი 2016

საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ვიცე-პრეზიდენტმა, ლასლო ბარანიაიმ.

მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკასა და ქვეყნის მხარდაჭერის გაგრძელების სამომავლო პერსპექტივაზე. საუბარი შეეხო საჯარო და კერძო სექტორში ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების მნიშვნელობას.

ნოდარ ხადურმა ლასლო ბარანიაის ქვეყნის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და ევროპის საინვესტიციო ბანკთან ნაყოფიერი თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვა.

EIB-ის მხარდაჭერით, საქართველოში ხორციელდება პროექტები საგზაო, წყლის ინფრასტრუქტურასა და ენერგეტიკის სექტორში, აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკი აქტიურად ერთვება ქვეყანაში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებითაც. დღეს, ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში, რომელიც ევროკომისიისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის ერთობლივი ფინანსური პროგრამის „InnovFin – EU Finance for Innovators“ ფარგლებში, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში გაიმართა. ღონისძიებაზე განიხილეს ფინანსური დახმარების ის ინსტრუმენტები, რომლებიც ამ პროგრამის დახმარებით ხელმისაწვდომი იქნება საქართველოში არსებული ინოვაციური ბიზნესისთვის.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით ევროკავშირისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ შექმნილი ერთიანი მხარდაჭერის გეგმა ითვალისწინებს ინოვაციის დარგში მოქმედი მცირე, საშუალო და მსხვილი კომპანიების, ასევე, კვლევითი ინსტიტუტებისთვის მრავალფეროვანი, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ფინანსური პროდუქტების შეთავაზებას.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ლარის ბანკნოტების და მონეტების შეუფერხებლად გადაცვალას უზრუნველყოფენ

08.09.2016

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის გაზრდის მიზნით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციის წესში ცვლილებები განახორციელა, რომლის მიხედვით, მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა ლარის ბანკნოტები და მონეტები სხვა ნომინალის ლარის ბანკნოტებში და მონეტებში შეუფერხებლად გადაცვალოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში. აღსანიშნავია, რომ დღემდე მოქმედი წესი არ ავალდებულებდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ლარის ბანკნოტების გამოცვლას და ეს დამოკიდებული იყო თითოეული საფინანსო ორგანიზაციის შიდა პროცედურაზე.

წესის ახალი რედაქციის თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ნაღდ ფულთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ვალდებულნი არიან არამეწარმე ფიზიკური პირისთვის ყოველგვარი საზღაურის და შეფერხების გარეშე განახორციელონ I და II კატეგორიის ვარგისიანობის ლარის ბანკნოტების და მონეტების გამოცვლა ან გადაცვლა სხვა ნომინალის ლარის ბანკნოტებზე ან მონეტებზე (გარდა ყალბი ლარის ბანკნოტების და მონეტებისა).

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია არ დაუშვას II კატეგორიის ლარის ბანკნოტების და მონეტების მიმოქცევაში დაბრუნება და უნდა უზრუნველყოს მათი კომერციულ ბანკში ჩაბარება ან გამოცვლა.

ცვლილებების წარმოდგენილი რედაქცია იმასაც უზრუნველყოფს, რომ II კატეგორიის ვარგისიანობის ლარის ბანკნოტები და მონეტები აღარ მოხვდეს მიმოქცევაში და კომერციული ბანკების მიერ განხორციელდეს მათი ეროვნული ბანკისათვის მიწოდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება

12.09.2016

საბანკო სექტორში მიმდინარე გარიგებებზე გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ მხარეთა შორის მოლაპარაკებები კონფიდენციალურია და სებ-ი არ არის უფლებამოსილი გაამჟღავნოს კონკრეტული გარიგების დეტალები. ამასთან, სებ-ი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს როგორც კონკურენციის არგუმენტს, ასევე საფინანსო სისტემის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის მანდატს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ საბანკო ბაზარზე შემოსვლისა და გასვლის ბარიერების არარსებობა ხელს უწყობს ინვესტიციების თავისუფალ მოძრაობას და ამცირებს კაპიტალის მოზიდვის დანახარჯებს, რაც, თავის მხრივ, ასევე დადებითად აისახება საფინანსო სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

კონკრეტული ტრანზაქციის გაანალიზებისას მნიშვნელოვანია როგორც კონკურენციაზე შესაძლო ზეგავლენის, ასევე საფინანსო სისტემის ეფექტიანობისა და ინვესტორთა და მომხმარებელთა დაცვის საკითხების გათვალისწინება. მხედველობაში მიიღება, ასევე, ბაზრის მცირე ზომა, სადაც, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, გამსხვილება ეფექტიანობის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა. ამასთან, მასშტაბის ეფექტისა და ეფექტიანობის ზრდა ხელს უწყობს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას.

მნიშვნელოვანია, რომ რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის რეჟიმის ფარგლებში, ზემოაღნიშნული ფაქტორების ანალიზი სებ-ის მიერ მუდმივად ხორციელდება, რაც, ასევე, განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის წლიურ ანგარიშებში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

07.09.2016

2016 წლის 7 სექტემბერს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ექვსმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 31 500 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 6.690 პროცენტით, მაქსიმალური 6.920 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 6.871 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური განაკვეთი 8.000 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

ფულადი გზავნილები აგვისტოში

15.09.2016

2016 წლის აგვისტოში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 105.8 მლნ აშშ დოლარი, ანუ 245.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 25.3 პროცენტით (21.4 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2015 წლის აგვისტოს ანალოგიურ მაჩვენებელზე.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 93.7 პროცენტი იმ 14 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ აგვისტოში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 14 ქვეყანაზე გასული წლის აგვისტოში მთელი ფულადი გზავნილების 92.1 პროცენტი მოდიოდა.

	ფულადი გზავნილების მოცულობა აგვისტო, 2016, მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
		აგვისტო, 2015	აგვისტო, 2016
სულ	105.8	100.0	100.0
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	32.6	23.6	30.8
მათ შორის:			
იტალია	10.5	10.6	10.0
საბერძნეთი	10.4	1.4	9.8
ესპანეთი	3.0	3.0	2.8
გაერთიანებული სამეფო	2.4	1.8	2.2
გერმანია	2.4	2.6	2.2
საფრანგეთი	1.2	1.0	1.2
დანარჩენი ქვეყნები, სულ	73.2	76.4	69.2
მათ შორის:			
რუსეთი	37.0	44.5	34.9
აშშ	11.7	10.2	11.1
თურქეთი	8.0	7.1	7.6
ისრაელი	5.5	3.3	5.2
აზერბაიჯანი	2.5	1.6	2.4
უკრაინა	1.7	1.9	1.6
კანადა	1.1	0.8	1.1
ყაზახეთი	1.1	1.4	1.0

2016 წლის აგვისტოში საქართველოდან საზღვარგარეთ 17.3 მლნ აშშ დოლარი (40.2 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 12.5 მლნ აშშ დოლარისა (29.0 მლნ ლარისა) გასული წლის აგვისტოში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

savaluto, safondo da navTobis msoflio bazrebze arsebuli mdgomareobis safuZvelze evropuli valutis perspeqtivebi da prognozebi

ნიკა შენგელია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
გრიგოლ ფერაძის სახ. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
579481001
nikaah@mail.ru

ნაშრომში ასახულია მიმდინარე პერიოდში სავალუტო და საფონდო ბაზრებზე არსებული მდგომარეობა. კერძოდ გაანალიზებულია ევროპული ვალუტის ევროს კურსის კვლევა აშშ ის ფედერალური სარეზერვო სისტების (ფსს) მიერ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან და WTI ნავთობის ფასების ცვლილებასთან მიმართებაში. მოყვანილია ევროს კურსის ცვლილების მე-6 ხარისხის რეგრესიის განტოლება, რამაც აჩვენა ევროს კურსის ცვლილება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან არაწრფივ დამოკიდებულება და ასევე დავადგინეთ, რომ ევროს კურსის ცვლილება პირდაპირ წრფივ დამოკიდებულებაშია ნავთობის ფასის ცვლილებასთან მიმართებაში. მოყვანილია და დადებულია პროგნოზი უახლოეს მომავალში ევროს კურსის შესახებ.

2016 წლის აგვისტოში, მას შემდეგ რაც ფედერალური სარეზერვო სისტემის სხდომის ოქმები გამოქვეყნდა, საფონდო და სავალუტო ბაზრებზე დღის წესრიგში განხილვის საგანი გახდა საკითხი-საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შესახებ. დიდი ხანია ამ საკითხის გარშემო ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფსს) თანამშრომლები ღიად საუბრობდნენ. თუმცა 2016 წლის 26 აგვისტოს, ყოველწლიურ ეკონომიკურ სიმპოზიუმზე ჯეკსონ ჰოულში, ფსს თავმჯდომარემ ქ -ნ ჯანეტ იელენმა განაცხადა, რომ ბოლო თვეებში გამოჩნდა მეტი საფუძველი იმისა რომ გაიზარდოს ფედერალური ფონდების საპროცენტო განაკვეთი, რითაც დიდი ალბათობით მხარს დაუჭერენ აშშ ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზაციის საკითხს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დღეის მონაცემებით აშშ-ს საფონდო ბაზრის ინდექსები ისტორიულ მაქსიმუმებს მიუახლოვდნენ, ხოლო მაღალშემოსავლიანი ავსტრალიური და ახალზელანდიური დოლარი კი არ ჩქარობს კურსი დაწიონ, აღნიშნული ფსს-ს სერიოზულ საფიქრალს უჩენს, გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეიძლება არაადეკვატურ რეაქციას წააწყდნენ.

მინდა ვთქვა რომ ფსს მიმდინარე პოლიტიკა გაურკვევლობის ერთ ერთი ფაქტორია:

ვთქვათ ასე, თუ შარშან დეკემბერში საფონდო ბაზარზე დაფიქსირდა აქციების მაქსიმალური გაყიდვები და თან დოლარის კურსი გამყარდა, არადამაჯერებლად თქმა იმისა, თუ რა მოელის საპროცენტო განაკვეთს- ეს გაურკვევლობა საფონდო ბაზარს აფიქრებინებს რომ ის არასოდეს არ შეიცვლება, ეს პოზიცია კი სავალუტო ბაზარს კარგს არაფერს უქადის.

აღნიშნული სავალუტო ბაზრის მონაწილეებს, ცენტრალურ ბანკებს ამოცანას უადვილებს, სხვა მონაწილეებს კი ურთულებს. კერძოდ ტრეიდერების ძირითად პრობლემას წარმოადგენს, ის რომ ფორექსი (Forgein Exchange Market –საერთაშორისო სავალუტო ბაზარი) ბოლო წელიწადნახევარია ფაქტობრივად გარკვეულ სპექტრში იმყოფება. თუმცა ყველაფერი როგორც ჩანს არ ისე უიმედოდაა. ის პროცესები რომლებიც ნავთობის ბაზარზე ხდება შეიძლება გამოგვადგეს EUR/USD სავალუტო წყვილის დინამიურობის განსაზღვრაში. მოდით ჯერ მოვახდინოთ მისი შეფასება ცენტრალური ბანკების პოზიციიდან. მოვახდინოთ ბაზრის ანალიზი საპროცენტო განაკვეთების მიხედვით.

საფრანგეთისა და აშშ სახელმწიფო თამასუქების აუქციონების დინამიურობამ მიგვიყვანა მოცემულ აქტივებს შორის სპრედის (ყიდვა-გაყიდვის კურსებს შორის სხვაობა) გაზრდამდე. გაიზარდა აშშ დოლარის პოტენციალი 0,8930%, რომლის დროსაც EUR/USD კურსი იმყოფება 1,044-1,1632 სპექტრში. აღნიშნული მიღებულია წყვილის რეგრესიით (ნახ.1). 1,1632 წარმოადგენს ზედა ზღვარს. უმცირეს კვადრატების მეთოდით წრფემდე და ფურიეს მწკრივთა მეთოდით მონაცემთა გაგლუვების კომპიუტრული პროგრამების გამოყენებით მოღებული მე- 6 ხარისხის რეგრესიის პოლინომური განტოლებით ცხადია, რომ თუ მოხდება ფსს- ს მიერ საპროცენტო განაკვეთის გაზრდა მოსალოდნელია EUR/USD კურსის მკვეთრი დაცემა.

ნახ.1-ზე გამოსახულია EUR/USD კურსის რეგრესია აშშ და საფრენგეთის სახელმწიფო თმასუქების სპრედთან მიმართებაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



ნახატზე გამოსახული დიაგრამა თვალნათლივ ასახავს სავალუტო წყვილის კურსსა და საპროცენტო განაკვეთს შორის არაწრფივ დამოკიდებულებას მოყოლებული 2014 წლის მაისიდან.

ახლა გადავხეოთ EUR/USD სავალუტო წყვილისა და ნავთობის ბაზრის ურთიერთკავშირს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ამჟამინდელი გადმოსახედიდან, ვგულისხმობ ერაყში ნავთობის მოპოვების ზრდას და ნიგერიიდან და ირანიდან ნავთობის მოწოდების აღდგენის მაღალ ალბათობას, ამასთან ტექნიკური ანალიზის გათვალისწინებით- WTI ნავთობის ფასსა და ევროს კურს შორის გვაქვს წრფივი დამოკიდებულება. (ნახ.2).



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დიაგრამიდან თვალნათლივ ჩანს როდესაც WTI ნავთობის, ერთი ბარელის ფასი 46$ ია EUR/USD წყვილის კურსი არის მოქცეული 1.05-1.15 სპექტრში.

საპროცენტო განაკვეთისა და ნავთობის ფასების მიხედვით სავალუტო ბაზრის ანალიზით, მოცემული წყვილისათვის, მიუხედავათ იმისა რომ 2015 წლიდან დღემდე დღიან დროის გრაფიკზე ტექნიკური ანალიზის თვალსაზრისით გამოსახულია ფიგურა „ დროშა“, რომლის მიხედვით არის პოტენციალი, რომ წყვილმა იმოძრაოს აღმავალი მიმართულებით 1.2 ნიშნულამდე (ანუ კურსი EUR/USD =1.20) სცენარის ასეთი განვითარება ფუნდამენტალური ფაქტორების გათვალისწინებით ნაკლებად სავარაუდოა. ამასთან უნდა ავღნიშნო რომ ევროს კურსის ზედა ზღვრად გვევლინება 1.16 დონე .

იმ შემთხვევაში თუ მოხდება ნავთობის ფასების დაცემა (ნახ. 3) ევროპული ვალუტის ზედა ზღვარი იქნება 1,14 ნიშნული, საიდანაც დიდი ალბათობით დაიწევს 1,11 ნიშნულამდე,

თუკი WTI ნავთობის ფასი ჩამოვა 41$ ბარელზე- მას შეესაბამება კურსი 1.1028, მაგრამ ტექნიკური ანალიზის მიხედვით ნავთობის ფასის ამ ნიშნულამდე ჩამოსვლა არაა მოსალოდნელი. ამის საფუძველს მაძლევს ინფორმაცია აშშ- ი ნავთობის არსებული მარაგებიდან გამომდინარე, ჩინეთში ნავთობის მოთხოვნის შესუსტება, არაბეთის ნავთობის მინისტრის განცხადება, რომ მზადაა მონაწილეობა მიიღოს ნავთობის მოპოვების რაოდენობის მკვეთრ შემცირებაში, ირანისა და ოპეკის ქვეყნების წარმომადგენლობის შეხვედრის დიდი ალბათობა, რომელიც ალჟირში შედგება. ტექნიკური ანალიზის მიხედვით კი ნავთობის ფასი შესაძლებელია 37.50$ მდე ჩამოვიდეს ნავთობის ბაზრიდან ახალი ამბებისა და ფსს მხრიდან უფრო მკაცრი და ცალსახა განცხადებების საფუძველზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდასთან დაკავშირებით. თუმცა ასეთის შეთხვევაში მოსალოდნელია კურსის 1.0880 მდე დაცემა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.stochtime.ru
2. www.bloomberg.com
3. www.businesscontact.ge
4. www.westifinanse.ru

რეზიუმე

სავალუტო, საფონდო და ნავთობის მსოფლიო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის საფუძველზე ევროპული ვალუტის პერსპექტივები და პროგნოზები

nika Sengelia
ekonomikis akademiuri doqtori,
grigol feraZis Tbilisis saswavlo
universitetis profesori

არ არის გამორიცხული ვიმყოფებოდეთ ზღურბლზე როდესაც ვიხილოთ თითქმის პარიტეტამდე დასული ევროპული ვალუტის კურსი. აღნიშნული გამოიწვევს აშშ დოლარის გამყარების ახალ ტალღას ყველა ვალუტასთან მიმართებაში, მათ შორის ლართანაც.

დასასრულს მინდა ავღნიშნო, რომ კარგი იქნებოდა ფსს ხელმძღვანელს, 26 აგვისტოს გამოსვლაში ქ-ნ ჯანეტ იელენს ცალსახად გამოეხატა აზრი მისი უწყების გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებით. მას რომ ხაზი გაესვა ცენტრალური ბანკებთნ მიმართებაში, რომელთაც არ სურთ ფასიანი ქაღალდებისა და ობლიგაციების მარეგულირებელი ადრინდელი ინსტრუმენტების გამოყენება -ადმინისტრაციისა და ფინანსური ინტერვენციის გარეშე - ამ შემთხვევაში შეიძლებოდა გვევარაუდა და გაგვეკეთებინა გათვლა სავალუტო ბაზარზე დოლარის არსებით გამყარებაზე და შესაბამისად საფონდო ბირჟებზე რისკიან აქტივებზე (აქციებზე), ფასების დაცემა. მაგრამ, როგორც ქალბატონ ჯანეტ იელენს ჩვევია მან პირდაპირ არაფერზე მიანიშნა, კვლავ სტატისტიკურად მოკლედ მიმოიხილა მსოფლიო და აშშ ეკონომიკა, მისი მიღწევები, დადებითი და სუსტი მხარეები. ასეთმა მიდგომამ კი შესაძლებელია გამოიწვიოს უკუ რეაქცია, რაც სავალუტო ბაზრებზე აისახება აშშ დოლარის გაყიდვების მოცულობების გაზრდით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

SUMMERY

NIKOLOZ SHENGELIA

Doctor of Economics

Professor of St. Grigol Peradze Tbilisi University

The publication reflects the existing situation at Currency and Stock markets during the current period. In particular is analyzed the study of the Europe an currency Euro by US Federal Reserve System (the FED) with respect to the interest rate and WTI oil price changes. The 6th level regression equation of euro exchange rate change is brought, which showed a non linear dependence of the euro exchange rate change to the interest rate change. Also we determined that change in the euro exchange rate in the linear correlation with the oil price change. The prognosis of the euro exchange rate for the nearest future is presented.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №442

2016 წლის 16 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/01/2014, 300160070.10.003.017671) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 1^1:

„მუხლი 1^1. სახელმწიფო შესყიდვის ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის წარმოებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს:

ა) ამ დადგენილებით საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სამშენებლო ნორმები, წესები, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები და მათი ნაწილები; ან

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილებით საქართველოში სამოქმედოდ დაშვებული ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 16 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №443

2016 წლის 16 სექტემბერი, ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/01/2014, 300160070.10.003.017674) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„მუხლი 2. ამ ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება არ ვრცელდება 2012 წლის პირველ ივლისამდე აღიარებულ სამშენებლო სამუშაოებზე, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოსათვის უცხო ქვეყნის მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრებით (მათ შორის, კრედიტის სახით) განხორციელებულ ან განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგად დაზიანებულ ადგილებზე გაწმენდითი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების გამარტივებულ შესყიდვებზე, რომელიც სრულდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წინასწარ განსაზღვრულ, უცვლელ და ერთიან (ფიქსირებულ) ფასად (lump sum), საჯარო ინტერესთა გამოხატვის გზით ჩატარებული ბაზრის წინასწარი კვლევის საფუძველზე. აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების lump sum ტიპად მიჩნევის საკითხს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 16 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი

ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი

1. სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას საწყისი სავარაუდო ფასის, ასევე ფაქტობრივი ხარჯების გამოთვლისთვის გამოიყენება „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ 2013 წლის 7 მარტის №50 და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ 2014 წლის 14 იანვრის №52 საქართველოს მთავრობის დადგენილებები. სამშენებლო სამუშაოების საწყისი სავარაუდო ღირებულების დასადგენად სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში საერთო სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 10%-ით. ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმა სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოებისათვის განისაზღვროს №1 ცხრილის მიხედვით, გეგმური მოგება ყველა სახის სამუშაოსთვის არაუმეტეს 8%-ით. ტენდერების შემთხვევაში გეგმური მოგებისა და ზედნადები ხარჯების მოცემული ზღვრული ნორმები სავალდებულოა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საწყისი სავარაუდო ფასის განსაზღვრისათვის.

2. №1 ცხრილის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებში მოცემულ საერთო სამშენებლო სამუშაოებზე გეგმური მოგება უნდა დაერიცხოს პირდაპირი დანახარჯებისა და ზედნადები ხარჯების ჯამს, ხოლო №1 ცხრილის პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მოცემულ სამუშაოებზე – პირდაპირი დანახარჯებისა და ზედნადები ხარჯების ჯამს მოწყობილობის ღირებულების გამოკლებით.

3. სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვისას:

ა) სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების დასადგენად სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში საერთო სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 10%-ით;

ბ) ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმა სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოებისათვის განისაზღვროს №1 ცხრილის მიხედვით, გეგმური მოგება ყველა სახის სამუშაოებისათვის არაუმეტეს 8%-ით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კონკრეტული ხელშეკრულებისათვის/შესყიდვისათვის დადგენილი გამონაკლისების შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი გათავისუფლებულია ხარჯთაღრიცხვის წარდგენის ვალდებულებისაგან, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს (პირდაპირ დანახარჯებს) უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში, პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით;

დ) სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოების აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების დარიცხვის გარეშე;

ე) იმ შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო კომპანიის მიერ №1 ცხრილის პირველ და მე-2 პუნქტებში მოცემული სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენა ხორციელდება უშუალოდ მწარმოებლისგან, შემდგომი მიწოდებით უშუალოდ სამშენებლო მოედანზე (საშუამავლო კომპანიის გარეშე), მათ თვითღირებულებას შესრულებული სამუშაოების აქტში დაერიცხება გეგმური მოგება.

ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმა სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოებზე

ცხრილი №1

№	სამუშაოთა დასახელება	ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმა %-შიპირდაპირი დანახარჯებიდან	ზედნადები ხარჯების ზღვრულინორმა %-ში მუშახელის ძირითადი ხელფასიდან
1	დანადგარებისა და მოწყობილობების მონტაჟი		68
2	რადიო-სატელევიზიო, ვიდეომეთვალყურეობისა და ელექტრონული მოწყობილობების მონტაჟი		72
3	სუსტი დენის ქსელების გაყვანა		65
4	ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები		75.“.
5	შიდა სანტექნიკური სამუშაოები	12	
6	ლითონკონსტრუქციების მონტაჟი	8	
7	ბურღვითი, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები	14,5	

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №438

2016 წლის 12 სექტემბერი, ქ. თბილისი

საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების ოდენობების და მათი გადახდის წესის და სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიების ოდენობებისა და მათი გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1

საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცდეს თანდართული საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერის ჩატარების წესი და პირობები, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების ოდენობების და მათი გადახდის წესი და სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიების ოდენობებისა და მათი გამოყენების პირობები.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 6 აპრილის №70 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 7 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერის ჩატარების წესი და პირობები, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების ოდენობებისა და მათი გადახდის წესი და სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიების ოდენობებისა და მათი გამოყენების პირობები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერის ჩატარების წესი და პირობები, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების ოდენობისა და მათი გადახდის წესი და სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიების ოდენობებისა და მათი გამოყენების პირობები (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ტენდერის გამოცხადების, სატენდერო წინადადებების შერჩევის, განხილვის, შეფასების, ტენდერის პროცედურების შეჩერებისა და შეწყვეტის, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების ოდენობებს და მათი გადახდის, სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიების ოდენობებს და მათი გამოყენების პირობებს და ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სამინისტრო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ბ) ტენდერი - ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მისაღებად ჩატარებული სატენდერო პროცესი;

გ) პირი - რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

დ) პრეტენდენტი - საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელმაც წარადგინა სატენდერო წინადადება;

ე) სატენდერო კომისია - საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ახორციელებს ამ წესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;

ვ) ლატარიის ორგანიზატორი - კანონის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტენდერში გამარჯვებული პირი – ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მფლობელი პირი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 3. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების შედგენისა და გამოქვეყნების პირობები

1. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას შეიმუშავებს სატენდერო კომისია და სამინისტრო შესათანხმებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას. აღნიშნული აისახება სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში.

2. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გავრცელება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: გამოქვეყნებას იმ პერიოდულ გამოცემაში (გამოცემებში), რომელიც (რომლებიც) ფართოდ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ან/და ინგლისურ ენაზე, უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემაში (გამოცემებში), რომელიც (რომლებიც) ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და ამ განცხადებას უგზავნის საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს.

3. სატენდერო კომისია ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას აქვეყნებს სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 20 დღისა.

4. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) სამინისტროს რეკვიზიტები;

ბ) სატენდერო დოკუმენტაციის ენა, გატანის წესი, ვადა და ადგილი;

გ) სატენდერო წინადადებების ენა, წარდგენის ვადა და ადგილი;

დ) სხვა მონაცემები, რომელთა მითითებასაც სატენდერო კომისია ჩათვლის საჭიროდ ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებით.

მუხლი 4. სატენდერო დოკუმენტაცია

1. სატენდერო დოკუმენტაცია, ამ წესთან ერთად, წარმოადგენს დოკუმენტთა პაკეტს, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას ტენდერის პროცედურების ძირითადი პირობების შესახებ.

2. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

ა) მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ პირები ტენდერში მონაწილეობის მისაღებად;

ბ) ინსტრუქციას, პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შედგენისა და წარდგენის წესის შესახებ;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) მითითებას იმის შესახებ, რომ სატენდერო წინადადებების წარდგენა უნდა მოხდეს ინგლისურ ენაზე;

დ) სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადას, გახსნის თარიღს და ადგილს;

ე) ინფორმაციას სატენდერო კომისიასთან კომუნიკაციის შესახებ;

ვ) მოთხოვნას სატენდერო წინადადებების მოქმედების მინიმალური ვადის თაობაზე;

ზ) ინფორმაციას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიის ოდენობის და გამოყენების პირობების შესახებ;

თ) ინფორმაციას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიის ოდენობის და გამოყენების პირობების შესახებ;

ი) სხვა მონაცემებს, რომელთა მითითებასაც სატენდერო კომისია ჩათვლის საჭიროდ ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებით.

3. პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ეს წესი, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.

4. ამ დადგენილებას ენიჭება უპირატესობა სატენდერო დოკუმენტაციასა და განცხადებასთან მიმართებაში, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციას გააჩნია უპირატესობა განცხადებასთან მიმართებაში.

მუხლი 5. სატენდერო წინადადების შერჩევის, განხილვისა და შეფასების პირობები

1. სატენდერო წინადადებები სატენდერო კომისიას წარედგინება 2 დალუქული კონვერტით, კონვერტებზე გაკეთებული შესაბამისი აღნიშვნებით: „კონვერტი №1“ და „კონვერტი №2“. №1 კონვერტში თავსდება ამ მუხლის მე-12 პუნქტში აღნიშნული საკვალიფიკაციო დოკუმენტები და ინფორმაცია, ასევე ის დამატებითი დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელსაც პრეტენდენტი მიიჩნევს საჭიროდ და არ სცილდება სატენდერო დოკუმენტაციისა და ამ წესის შინაარსს, ხოლო №2 კონვერტში - ამ მუხლის მე-13 პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია. დაგვიანებით შესული სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდე-ბა წარმდგენ პირებს.

2. სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულების შემდგომ პირველ რიგში შეფასდება კონვერტი №1-ის ზოგადი ინფორმაციის სისრულე დადებითად ან უარყოფითად. თუკი პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ზოგადი ინფორმაცია შეფასდა უარყოფითად, პრეტენდენტის წინადადება შემდგომ ეტაპზე დამატებით აღარ განიხილება. კონვერტი №1 დაუბრუნდება პრეტენდენტს და მოხდება მისი მოხსნა ტენდერიდან. ამასთან, №2 კონვერტი არ გაიხსნება და გაუხსნელად დაუბრუნდება პრეტენდენტს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. №1 კონვერტის გახსნის შემდეგ პირველ რიგში უნდა განხორციელდეს შერჩევა.

4. შერჩევის პროცედურის დროს მოწმდება სრულად არის თუ არა წარდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის, ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო წინადადებას.

5. შერჩევის პროცესში სატენდერო კომისია ახდენს სატენდერო წინადადებების კლასიფიცირებას შემდეგ კატეგორიებად:

ა) სატენდერო წინადადებები, რომლებიც შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს;

ბ) სატენდერო წინადადებები, რომლებიც მნიშვნელოვანი შეცდომების ან სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის გამო ვერ ჩაითვლება მისაღებად.

6. პრეტენდენტს უფლება აქვს, დაესწროს კომისიის სხდომას №1 და №2 კონვერტების გახსნისას, ასევე ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში სატენდერო კომისიის სხდომები დახურულია. შესაბამისად, კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება კომისიის მიერ პრეტენდენტთა წინადადებების განხილვას და დაუშვებელია ასეთი ინფორმაციის გახმაურება ნებისმიერი საშუალებით, მესამე პირთა ან კონკურენტ პრეტენდენტთა სასარგებლოდ.

7. სატენდერო კომისიას უფლება აქვს, სატენდერო წინადადებების განხილვისათვის მოიწვიოს ექსპერტები და კონსულტანტები. სატენდერო წინადადებების ან/და კონსულტანტების, ექსპერტების წინადადებებისა და დასკვნების განხილვა ხდება სატენდერო კომისიის სხდომებზე.

8. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი სატენდერო წინადადება შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლებიც არსებითად არ ეწინააღმდეგება სატენდერო დოკუმენტაციით, ამ წესით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან რომელთა გამოსწორება შესაძლებელია სატენდერო წინადადების შინაარსის შეუცვლელად.

9. სატენდერო კომისიას შეუძლია თვითონ შეასწოროს მექანიკური შეცდომები, თუ ადგილი აქვს შეუსაბამობას ციფრობრივად და სიტყვიერად გამოსახულ სიდიდეებს შორის (უპირატესობა ენიჭება სიტყვიერ გამოსახულებას).

10. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ არ არის წარდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვერ შეძლებს თავისი სატენდერო წინადადების ან/და საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ სატენდერო წინადადება არ არის სრულყოფილად წარდგენილი;

დ) თუ ტენდერის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას;

ე) თუ ტენდერის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

ვ) თუ ყველა საჭირო დოკუმენტი არ იქნება შედგენილი შესაბამისი ფორმის დაცვით (უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, თარიღის მითითება და სხვ.);

ზ) თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები და ინფორმაცია.

11. პრეტენდენტების შეფასების მიზანია მათი ფინანსური მდგომარეობის, ტექნიკური შესაძლებლობების, პერსონალის კვალიფიკაციის, რეპუტაციის, გამოცდილების, საქართველოში ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის სახელმწიფოს ბიუჯეტში გადასახდელად შეთავაზებული თანხის ოდენობისა და სხვა მონაცემებისა და მახასიათებლების შედარება.

12. №1 კონვერტით, რომელშიც თავსდება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები, პრეტენდენტის ტექნიკური წინადადებები, წარდგენილი უნდა იყოს:

ა) ინფორმაცია პრეტენდენტის/მფლობელის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პრეტედენტის/მფლობელის შესაბამისი გამოცდილების თაობაზე;

გ) ინფორმაცია პრეტედენტის/მფლობელის მიმართ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებების თაობაზე, რომლითაც აეკრძალა საქმიანობა, ინფორმაცია მის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტების თაობაზე და სხვა;

დ) ინფორმაცია დაფინანსების თაობაზე;

ე) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით;

ვ) 1-5-წლიანი და 6-10-წლიანი ბიზნესგეგმა;

ზ) სხვა ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

13. №2 კონვერტში თავსდება ინფორმაცია, საქართველოში ლატარიის ორგანიზების და ჩატარების უფლებამოსილების მოპოვებისათვის პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად შეთავაზებული თანხის ოდენობის შესახებ, რომელიც არ უნდა იყოს 5,000,000 აშშ დოლარზე ნაკლები. თანხა მითითებულ უნდა იქნეს აშშ დოლარში.

14. გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, მის მიერ №2 კონვერტით და ამ მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად შეთავაზებული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს არა უგვიანეს ლატარიის ორგანიზების და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მინიჭების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე.

15. №1 კონვერტით წარდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის დეტალური განხილვის, შესწავლის და შეფასების შემდეგ, თუ №1 კონვერტი დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, წინადადება ჩაითვლება მისაღებად და გაიხსნება №2 კონვერტი.

16. იმ შემთხვევაში, თუ მისაღებად ჩაითვალა 2 ან მეტი №1 კონვერტი, სატენდერო კომისიის წევრი უპირატე-სობას ანიჭებს იმ პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას, რომელსაც საქართველოში ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის №2 კონვერტით შეთავაზებული ექნება ყველაზე მეტი ოდენობის თანხა.

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული შეფასებების №2 კონვერტით განსაზღვრული თანხის იდენტურობის შემთხვევაში, კომისია მოიწვევს ამ პრეტენდენტებს და აცნობებს, რომ მათ მიერ კონვერტი №2-ით შეთავაზებული თანხა იდენტურია. ამის შემდგომ პრეტენდენტებს მიეცემათ 10-დღიანი ვადა, რათა წარადგინონ განახლებული შეთავაზება, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხის ოდენობაზე. ყოველი შემდეგი განახლებული შეთავაზება უნდა იყოს წინა შეთავაზებაზე მეტი. განახლებული შეთავაზების წარდგენის პროცედურა იდენტურია კონვერტი №2-ის წარდგენის პროცედურისა. იმ შემთხვევაში, თუკი პრეტენდენტი არ წარადგენს განახლებულ წინადადებას, ის მოიხსნება ტენდერიდან. თუკი არცერთი პრეტენდენტი არ წარადგენს განახლებულ წინადადებას, ტენდერი გამოცხადდება გაუქმებულად. შერჩევის პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ერთ-ერთი პრეტენდენტი არ წარადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელ უმაღლეს თანხას.

18. სატენდერო კომისია ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შეფასების კრიტერიუმების და საქართველოში ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად შეთავაზებული თანხის გათვალისწინებით.

19. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც თან ერთვის კომისიის წევრთა შეფასებები. ოქმში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია, სატენდერო წინადადებების განხილვაში მონაწილე პირებისა და პრეტენდენტების შესახებ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

20. გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, სატენდერო კომისია აცნობებს შედეგებს ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტს და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გადაწყვეტილების გაცნობიდან 30 დღის ვადაში ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

21. საქართველოს არარეზიდენტი პირების მიერ წარდგენილი დოკუმენტები გაცემული და დამოწმებული უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული წესით.

მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

1. ყველა პირმა, რომელიც ტენდერის პროცესში სამინისტროს ინტერესებს წარმოადგენს (სატენდერო კომისიის წევრები, სატენდერო კომისიის აპარატის წევრები, მოწვეული ექსპერტებისა და კონსულტანტების ჩათვლით), თავიდან უნდა აიცილოს ინტერესთა კონფლიქტის ყველანაირი სიტუაცია, ინტერესთა კონფლიქტის წარმომშობი მიზეზების ჩათვლით.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რომელიმე პირი ინტერესთა კონფლიქტის წინაშე აღმოჩნდება, მან დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ყოველგვარი მონაწილეობა ტენდერის პროცედურებში.

3. ყოველ პირს, რომელიც ტენდერის ჩატარების პროცესში სამინისტროს ინტერესებს წარმოადგენს, ექნება ინტერესთა კონფლიქტი, თუ:

ა) მონაწილეობს ტენდერში;

ბ) არის ტენდერში მონაწილე რომელიმე ორგანიზაციის მფლობელი, აკონტროლებს მას ან არის მისი თანამშრომელი;

გ) არის ტენდერის პროცედურაში მონაწილე ორგანიზაციის თანამშრომლის ან ხელმძღვანელი აპარატის წევრის ახლო ნათესავი ან უშუალოდ მონაწილის ახლო ნათესავი, თუ ეს უკანასკნელი ფიზიკური პირია.

ახლო ნათესავში იგულისხმება პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლისა და შვილის გერები;

დ) ბოლო 3 წლის განმავლობაში მუშაობდა ტენდერის პროცედურებში მონაწილე ორგანიზაციაში, ხელმძღვანელ თანამდებობაზე;

ე) პირადი ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებულია ან მოლაპარაკებას აწარმოებს ასეთი კავშირის დამყარების თაობაზე ტენდერის პროცედურებში მონაწილე იურიდიულ პირებთან;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) ტენდერის პროცედურის შედეგით პირადად არის დაინტერესებული (ან აქვს ფინანსური ინტერესი).

4. დაუშვებელია, ტენდერის პროცედურებისას მასში მონაწილეობის მსურველმა ან/და მონაწილე პირმა სატენდერო კომისიას (სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს, მოწვეულ ექსპერტებსა და კონსულტანტებს) ან სახელმწიფო ორგანოებსა და მათ წარმომადგენლებს მიმართოს თხოვნით შუამდგომლობის შესახებ ან მოახდინოს მათზე პირდაპირი ან ფარული ზეგავლენა ნებისმიერი გზით, რათა მოიპოვოს თავისთვის ხელსაყრელი უფლებები ან/და პირობები.

5. დაუშვებელია ტენდერში მონაწილეობა მიიღონ იურიდიულმა პირებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ტენდერის მოსამზადებელ სამუშაოებში.

6. სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისას და კონვერტების გახსნისთანავე, სატენდერო კომისიისა და კომისიის აპარატის ყველა წევრი, მოწვეული ექსპერტი და კონსულტანტი, რომელიც დაკავშირებულია ამ ტენდერის განხორციელებასთან, ვალდებულნი არიან, წერილობით დაადასტურონ, რომ მათი მონაწილეობა ამ ტენდერის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

მუხლი 7. ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებული ქმედებების გასაჩივრებისა და დავის განხილვის პირობები

1. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ ნებისმიერ ეტაპზე გაასაჩივრონ სატენდერო კომისიის ქმედებები სამინისტროში ან სასამართლოში, თუ მათ მიაჩნიათ, რომ ტენდერის მიმდინარეობის პროცესში დაირღვა ამ წესით ან/და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი დებულებები ან/და შეილახა მათი უფლებები.

2. სამინისტროსა და სასამართლოში ტენდერთან დაკავშირებული დავები განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დავის განხილვა არ იწვევს ტენდერის პროცესის შეჩერებას, გარდა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა.

4. პრეტენზიის მქონე პირი, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, უფლებამოსილია, საჩივრით მიმართოს სამინისტროს არაუგვიანეს ერთი თვისა იმ გარემოების შეტყობის ან იმ გადაწყვეტილების მიღების დღიდან, რომელმაც გამოიწვია პრეტენზია. საჩივრის განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აგრეთვე იმ პირებს, რომელთა ინტერესებსაც შეეხება ან შეიძლება შეეხოს წარმოშობილი დავა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. ამ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამინისტროს, საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, გამოაქვს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება და აცნობებს მას მომჩივანს.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ საჩივრის განხილვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლო წესით.

7. საჩივარს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი და უნდა ახლდეს მომჩივნის დასაბუთებული განმარტება იმის შესახებ, რომ მისი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, იგი მნიშვნელოვნად დაზარალდება. საჩივარი განხილვას არ ექვემდებარება, თუ სამინისტრო ამ წესის შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას ტენდერის შეწყვეტის შესახებ.

8. პრეტენდენტებს შეუძლიათ სამინისტროს მიერ საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები გაასაჩივრონ სასამართლო წესით.

მუხლი 8. ლატარიის ორგანიზატორის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველკვარტალურად გადასახდელი ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების პროცენტის ოდენობა და მისი გადახდა

1. ლატარიის ორგანიზატორი ვალდებულია, სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველკვარტალურად გადაიხადოს ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების 8 პროცენტი.

2. ლატარიის ორგანიზატორი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გადასახდელს იხდის ყოველკვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 დღისა. თუ გადახდის ბოლო დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასვენების ან უქმე დღეს, ამ შემთხვევაში გადახდის ბოლო დღედ ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

მუხლი 9. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიის ოდენობა

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვალდებულია, წარუდგინოს სამინისტროს თავისი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა შეადგენს 5,000,000 აშშ დოლარს. დაუშვებელია, სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროს ანგარიშზე თანხის შეტანა (ჩარიცხვა).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 10. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიის გამოყენების პირობები

1. საგარანტიო მოთხოვნა თანაბრად ეხება ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტს.

2. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

3. გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს სატენდერო წინადადებასთან ერთად, №1 დალუქულ კონვერტში, შესაბამისი აღნიშვნით.

4. სატენდერო კომისიას უფლება აქვს, დაიწუნოს პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტია, თუ მას საფუძვლიანი ეჭვი აქვს წარდგენილი საბანკო გარანტიის მიმართ ან საბანკო გარანტიაზე დასტურის გამცემი ორგანიზაციის გადახდისუნარიანობაზე.

5. სატენდერო კომისიამ უნდა უზრუნველყოს ტენდერში მონაწილე პირთათვის საბანკო გარანტიის დაბრუნება ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადების დღიდან არაუგვიანეს 10 დღისა, მათივე მოთხოვნის საფუძველზე.

6. თუ სატენდერო კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას სატენდერო პროცედურების შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე, პრეტენდენტებს საბანკო გარანტიები უბრუნდებათ მათი მოთხოვნისთანავე.

7. სატენდერო კომისიამ უნდა უზრუნველყოს საბანკო გარანტიების დაბრუნება იმ პირებისათვის, რომლებმაც უარი განაცხადეს სატენდერო წინადადებების ხელმეორედ განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე ან/და ვერ უზრუნველყვეს წარდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელება.

8. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა ამოიწურა სატენდერო წინადადებების შეფასების დასრულებამდე და პრეტენდენტმა უარი განაცხადა ამ ვადის გაგრძელებაზე, პრეტენდენტს საბანკო გარანტია უბრუნდება მოთხოვნისთანავე.

9. საბანკო გარანტიის დაუბრუნებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე (თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე);

ბ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა ტენდერის პროცედურების დროს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გამო;

დ) თუ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმებამდე სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად არ გადაიხდის №2 კონვერტით შეთავაზებულ თანხას.

10. სატენდერო კომისიის მიერ საბანკო გარანტიის დაუბრუნებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისშემთხვევაში, ტენდერში მონაწილე პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, ამ წესის მე-7 მუხლისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიის ოდენობა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, სამინისტროს წარუდგინოს საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა შეადგენს 2,800,000 აშშ დოლარს.

მულხი 12. ხელშეკრულება და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიის გამოყენების პირობები

1. სატენდერო დოკუმენტაციით და გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული პირობებისა და ამ პირთან მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით ხდება ხელშეკრულების შედგენა.

2. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება იდება 10 წლის ვადით. აღნიშნული ვადა, სამინისტროს წინადადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაგრძელდეს ახალ ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებამდე.

3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია უნდა მოქმედებდეს ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში და ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების დასრულებიდან არანაკლებ 4 თვის განმავლობაში. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათ შორის, გამოყენების პირობები განისაზღვრება გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, სამინისტრო ვალდებულია, უზრუნველყოს საბანკო გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 13. ტენდერის პროცედურების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები

1. სატენდერო კომისიას უფლება აქვს, ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ტენდერის პროცედურები, როდესაც ამის აუცილებლობა წარმოიქმნება მისგან დამოუკიდებელ და წინასწარ გაუთვალისწინებელ ობიექტურ მიზეზთა გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

2. სატენდერო კომისიას უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ტენდერის პროცედურები, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტები ან/და მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.

3. ტენდერის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, სატენდერო კომისია არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, თავის გადაწყვეტილებას და მისი მიღების საფუძველს აცნობებს პრეტენდენტებს. სატენდერო კომისია არ არის ვალდებული, ტენდერში მონაწილე პირებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულებანი ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა ეს გადაწყვეტილება, აგრეთვე აუნაზღაუროს მათ ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. ტენდერის პროცედურების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სატენდერო კომისია ვალდებულია, მიღებული სატენდერო წინადადებები და თანმხლები დოკუმენტები დაუბრუნოს მათ წარმდგენ პირებს, ხოლო ტენდერის პროცედურების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სატენდერო კომისია ვალდებულია, მიღებული სატენდერო წინადადებები და თანმხლები დოკუმენტები დაუბრუნოს მათ წარმდგენ პირებს, მათივე მოთხოვნის საფუძველზე.

5. იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო ტენდერის პროცედურების შეჩერების შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას ტენდერის პროცედურების გაგრძელების შესახებ, იგი ვალდებულია, განახორციელოს ტენდერის პროცედურები შეჩერებული პროცედურების გაგრძელების მეშვეობით (თუ ის ხორციელდება იმავე წელს). ამისათვის სატენდერო კომისია მიმართავს პრეტენდენტებს სატენდერო წინადადებებისა და თანმხლები დოკუმენტების ხელახალი დადასტურების შესახებ წინადადებით. თუ არცერთმა მონაწილემ თანხმობა არ განაცხადა განახლებული ტენდერის პროცედურებში მონაწილეობაზე, სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას ხელახალი ტენდერის გამოცხადების შესახებ.

მუხლი 14. არშემდგარი და უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერი

1. ტენდერი ითვლება არშემდგარად, თუ დადგენილ ვადებში არცერთი პირის სატენდერო წინადადება არ იქნა წარდგენილი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ტენდერი ითვლება უარყოფითი შედეგით დასრულებულად, თუ არცერთი პირის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება არ შეესაბამებოდა სატენდერო კომისიის მოთხოვნებს ან თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმებისთვის დადგენილ ვადაში ვერ უზრუნველყოფს №2 კონვერტით გათვალისწინებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გამოცხადდეს ხელახალი ტენდერი.

მუხლი 15. სხვა დებულებები

ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი და საინფორმაციო მასალა იკინძება და ინახება ტენდერში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №424

2016 წლის 1 სექტემბერი, ქ. თბილისი

„მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შესრულებისათვის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულების უფლებამოსილების მქონე პირის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს №388 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შესრულებისათვის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულების უფლებამოსილების მქონე პირის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს №388 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/08/2016, 040150000.10.003.019453) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„მუხლი 2

1. ამ დადგენილების ამოქმედებამდე, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის წარდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიღებულ იქნეს მოთხოვნის წარდგენის მომენტისათვის მოქმედი წესის შესაბამისად.

2. ამ დადგენილების ამოქმედებამდე შედგენილი მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზები, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ან მიწის ნაკვეთის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მიზნით, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეიძლება წარდგენილ იქნეს 2016 წლის 1 ოქტომბრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №414

2016 წლის 24 აგვისტო, ქ. თბილისი

„საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №471 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №471 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/09/2015, 240090000.10.003.018857) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინარსის 8^1 მუხლი:

„მუხლი 8^1

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ფოთის პორტის გავლით შემოტანილი ავტომობილებით დატვირთული კონტეინერების დამუშავება (გახსნა/გადატვირთვა) და ამ ავტომობილების დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ საბაჟო საწყობში, რომელმაც, ამ ინსტრუქციის მე-8 მუხლით დადგენილი პირობების დაცვასთან ერთად, უნდა უზრუნველყოს:

ა) მომსახურების მაღალი სტანდარტი:

ა.ა) კეთილმოწყობილი მოსაცდელი დარბაზი, ინტერნეტთან წვდომით (WiFi), სველი წერტილებით (მ.შ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის), მუდმივი (უწყვეტი) ვიდეოკონტროლით;

ა.ბ) 24-საათიანი საბანკო მომსახურებისათვის პირობების შექმნა (რამდენიმე ბანკი, ბანკომატები, ელექტრონული ჩარიცხვის აპარატები);

ა.გ) 24-საათიანი საინფორმაციო ცენტრი (სატელეფონო მომსახურებით), კონტეინერების გახსნის შესახებ საინფორმაციო ვებგვერდი (კონტეინერების დამუშავების განრიგის შესახებ ინფორმაციისათვის);

ა.დ) სასურველია საწყობიდან არაუმეტეს 50 მ-ში კვების ობიექტ(ებ)ის არსებობა;

ბ) უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები:

ბ.ა) კონტეინერების დამუშავებისას უსაფრთხოების (როგორც მომსახურე პერსონალის, ასევე ავტომობილების უსაფრთხოება) ნორმების დაცვა;

ბ.ბ) კონტეინერების დამუშავებისათვის გამოყოფილი ტერიტორიის დაცვა გარეშე პირების მოხვედრისაგან;

ბ.გ) ავტოსადგომიდან ავტომობილის გაყვანა უნდა მოხდეს საბაჟო საწყობის უფლებამოსილი პირის მიერ, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე (ავტომობილის მიღება-ჩაბარების ადგილი);

გ) სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა:

გ.ა) ავტომობილებით დატვირთული კონტეინერების დამუშავებისათვის ერთმანეთისაგან იზოლირებული:

გ.ა.ა) გახსნა-დამუშავების მოედანი – ბეტონის საფარით, განათებით, აღჭურვილი ტექნიკური საშუალებებით (დამტვირთველი, კონტეინერის ამწეები და ა.შ.) კონტეინერების უსაფრთხოდ და სწრაფად დაცლისათვის, გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით, რომლითაც უწყვეტად (დღე-ღამის განმავლობაში) უნდა ფიქსირდებოდეს კონტეინერების დაცლის დეტალური გამოსახულება, საბურავების ჰაერის მიმწოდებელი და აკუმულატორის დამმუხტველი ხელსაწყოებით, მოსაცდელი ოთახით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ.ა.ბ) ავტოსადგომი – ბეტონის საფარით, მონიშნული (დახაზული) და დანომრილი დგომის ადგილებით, აღჭურვილი მოედნის ნებისმიერი წერტილის მუდმივი ვიდეოკონტროლით;

გ.ა.გ) დათვალიერების ადგილი – რამდენიმე ათეულ ავტომობილზე გათვლით, გადახურვით, განათებით, აღჭურვილი გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით, საქონლის დასათვალიერებელი მაგიდებით, სასწორებით (500 კგ-იანი და 2 ტ-იანი), საოფისე ოთახით ინტერნეტთან წვდომით, სველი წერტილით;

გ.ა.დ) ავტომობილის მიღება-ჩაბარების ადგილი – იზოლირებული (შემოღობილი) ყველა სხვა ზემოთ აღნიშნული მოედნისაგან, ბეტონის საფარით, აღჭურვილი საბურავების ჰაერის მიმწოდებელი და აკუმულატორის დამმუხტველი ხელსაწყოებით, რამდენიმე დამტვირთველით დაზიანებული ავტომობილის გადასაადგილებლად;

გ.ბ) იზოლირებული, კეთილმოწყობილი სასაწყობე ინფრასტრუქტურა – კონტეინერში ავტომობილთან ერთად განთავსებული საქონლის დასაწყობებისათვის, აღჭურვილი შესაბამისი სათავსებით/სტელაჟებით და ვიდეოკონტროლის სისტემით;

გ.გ) კეთილმოწყობილი საოფისე ფართები – საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებისათვის (მათ შორის, მოსასვენებელი ოთახები ცვლიანი გრაფიკით მომუშავე პირებისათვის);

დ) შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზებთან თანხვედრით, ყველა საჭირო ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში ასახვისათვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების თაობაზე საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელი წერილობითი განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურს, რომელიც 10 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე ავტომობილებით დატვირთული კონტეინერების დამუშავებისა (გახსნა/გადატვირთვა) და ავტომობილების დათვალიერების განხორციელების მიზანშეწონილობის ან მასზე უარის თქმის თაობაზე.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №413

2016 წლის 24 აგვისტო, ქ. თბილისი

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში (სსმ, №94, 12/08/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების სახსრებით დაფინანსებული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე პროექტის შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, თუკი ასეთი პროექტის განხორციელებაზე საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №223

2016 წლის 14 სექტემბერი, ქ. თბილისი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტისა და 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მ უხლი 1

დამტკიცდეს ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულება“.

მ უხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებლი

გიორგი თაბუაშვილი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის

დებულება

მუხლი 1. **ზოგადი დებულებები**

1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომ – სამსახური) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს მარეგულირებელი ევროკავშირის დირექტივებით, ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით (შემდგომ – კანონი), სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

3. სამსახური თავისი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს სახელმწიფოს სახელით.

4. სამსახური პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე.

5. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს კანონიერების, პიროვნების ღირსების, პატივისცემის, სამართლიანობისა და საჯაროობის პრინციპზე დაყრდნობით, მას არ აქვს უფლება გაამჟღავნოს სუბიექტის, აუდიტორის, აუდიტორული (აუდიტური) ფირმის (შემდგომ – აუდიტორული ფირმა), პროფესიული ორგანიზაციის და სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს შესახებ სამსახურის სისტემაში შემავალი, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დაცული ინფორმაცია.

6. სამსახური ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

7. სამსახურს აქვს ანგარიში ხაზინაში და ხარჯთა ნუსხა.

8. სამსახურს აქვს ბეჭედი და ლოგო.

9. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, 0193, მერაბ ალექსიძის ქ.№1 .

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) კანონის შესაბამისად, გამოსაყენებლად სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ნორმების ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღება და მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დადგენა;

ბ) ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის წესების განსაზღვრა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში ერთიანი პოლიტიკისა და სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავება, საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (შემდგომ – სდპ) მიმართ დამატებითი მოთხოვნებისა და წესების განსაზღვრა, მათ შორის შესაბამის მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოსთან ერთად;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) აუდიტორული საქმიანობის განსახორციელებლად შესაბამისი წესებისა და მოთხოვნების განსაზღვრა;

დ) აუდიტორთა/აუდიტორულ ფირმათა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესების შემუშავება;

ე) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის განსაზღვრა, წინასწარი შედეგების განხილვის, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურების დადგენა;

ვ) რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება;

ზ) კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება;

თ) ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (I FAC) მიერ დადგენილი განათლების საერთაშორისო სტანდარტების (I ES) და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული სასერტიფიკაციო განათლების, საგამოცდო პროცესისა და განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების განსაზღვრა და შესაბამისი სტანდარტების დამტკიცება;

ი) კანონით გათვალისწინებული სტანდარტების, წესებისა და მეთოდოლოგიის განხილვა და დამტკიცება;

კ) სასერტიფიკაციო პროგრამების დადგენა, საგამოცდო პროცესის აღიარების წესისა და განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარების წესის განსაზღვრა;

ლ) დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესისა და განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარება;

მ) პროფესიული ორგანიზაციების, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს და კანონით განსაზღვრული პროფესიული განათლების საქმიანობით დაკავებული სხვა პირების მიერ კანონთან და სამსახურის მიერ დადგენილ წესებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგის განხორციელება;

ნ) რეესტრის, აღიარებული სასწავლო პროგრამებისა და განგრძობითი განათლების პროგრამების, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოების რეესტრებისა და ანგარიშგებების ვებგვერდის წარმოება სამსახურის მიერ დადგენილი წესებისა და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ო) კანონის შესაბამისად, დაინტერესებული პირების მიერ მეოთხე კატეგორიის საწარმოების მიერ სამსახურისათვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების მოთხოვნის წესის შემუშავება;

პ) მოკვლევის სისტემის ჩამოყალიბება, მოკვლევის ჩატარების წესებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება, საკუთარი ინიციატივით ან/და წარმოდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან დაკავშირებით მოკვლევის ინიცირება;

ჟ) სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და გამოვლენა კომპეტენციის ფარგლებში;

რ) სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებების კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შერჩევით გადამოწმება, რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე და წარმოდგენილი ანგარიშგებების საჯაროობის უზრუნველყოფა;

ს) სუბიექტის რისკების მართვის სისტემის საფუძველზე შესწავლა;

ტ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე მეთოდური მითითებების შემუშავება და დამტკიცება;

უ) იმ სახელმწიფოთა განსაზღვრა, რომელთა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (I FAC) ნამდვილ წევრსაც ექნება რეესტრში დარეგისტრირების უფლება;

ფ) სამსახურის მიერ შემუშავებული სტანდარტებისა და წესების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტებების გაცემა;

ქ) თავისი ინიციატივით ან/და ,,ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს (შედმგომ – მარეგულირებელი ორგანო) სამინისტროსათვის მიმართვის საფუძველზე, სუბიექტისათვის სდპ-ის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით სამინისტროსთან და საბჭოსთან ურთიერთობის კოორდინაცია;

ღ) კანონის რეგულირების სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან, წესებთან, მეთოდოლოგიასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს სამსახური გამოსცემს საბჭოს შესაბამისი რეკომენდაციის განხილვის შემდეგ.

3. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, სამსახური თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, აუდიტორებთან/აუდიტორულ ფირმებთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოებთან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. სამსახური კანონით გათვალისწინებული სტანდარტებისა და წესების შემუშავებისათვის, პროფესიული ორგანიზაციების, პრაქტიკოსებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, ქმნის სამუშაო ჯგუფებს.

მუხლი 3. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის მართვას, კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას ახორციელებს სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსს საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით, 5 წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და კანონით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ერთი და იმავე პირის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. სამსახურის უფროსი უნდა იყოს არაპრაქტიკოსი და აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ერთ-ერთი შემდეგი სპეციალობით: ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი, ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე;

ბ) უნდა ჰქონდეს აუდიტის სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება;

გ) არ უნდა იყოს ნასამართლევი ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, აგრეთვე სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;

3. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამსახურს, პასუხისმგებელია სამსახურისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისთვის;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს სამსახურის დებულების პროექტს, სტრუქტურასა და ხარჯთაღრიცხვას, საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის წესს, აგრეთვე მათში სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტებს;

დ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს;

ე) კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევათა გამოვლენისას, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან იღებს გადაწყვეტილებას სხვა პირის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს;

ზ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს სამსახურის თანამშრომელთა რიცხოვნობას, ამტკიცებს სამსახურის შინაგანაწესსა და საშტატო განრიგს;

თ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს სამსახურის ლოგოს, ამტკიცებს სამსახურის სისტემაში გამოსაყენებელ ბეჭდებსა და ბლანკებს;

ი) ამტკიცებს სამსახურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

კ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიშს და სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს სამსახურის ვებგვერდზე;

ლ) ითანხმებს პროფესიული ორგანიზაციების მიერ მათ წევრ აუდიტორთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესებს;

მ) ასრულებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ფუნქციონირებს ერთიანი ცენტრალიზებული წესით.

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) სამსახურის აპარატი;

ბ) აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი;

გ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, სამსახურთან იქმნება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო (შემდგომ – საბჭო).

4. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება კანონით.

5. საბჭოს უფლებამოსილებები, საჩივრის განხილვისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 5. სამსახურის აპარატი

სამსახურის აპარატის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამსახურის სისტემაში საქმისწარმოების ორგანიზება, მათ შორის, საარქივო და საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება, არქივში დაცული დოკუმენტების მოძიება და მოთხოვნის შემთხვევაში ასლების გაცემის უზრუნველყოფა, სამსახურის ბლანკებისა და საქმისწარმოებისათვის საჭირო ბეჭდების აღრიცხვა-შენახვა და გამოყენებაზე კონტროლი;

ბ) ადამიანური რესურსების მართვის უზრუნველყოფა, მათ შორის, სამსახურებრივი ურთიერთობების საკითხების ადმინისტრაციული უზრუნველყოფა, სამსახურის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსების ორგანიზება და ჩატარება, სამსახურის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეთა და სტაჟიორთა/პრაქტიკანტთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა;

გ) საფინანსო-ეკონომიკური, სამეურნეო და საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა;

დ) სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობა და კონტროლი;

ე) სამსახურის ,,ცხელი ხაზის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა. შემოსულ ზარებსა და განცხადებებზე რეაგირება, დაწესებულების მიზნებთან სამსახურის სისტემის თანამშრომელთა შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმება და მისი აღმოჩენის მიზნით, შემოწმების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, სამსახურის სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების მოკვლევის მიზნით ინფორმაციის შესაბამისი დეპარტამენტისათვის მიწოდება;

ვ) საბჭოს სხდომების ორგანიზება, სამსახურის სისტემაში შემოსული წერილებისა და განცხადებების განხილვა, მათზე დასკვნების/ წინადადებების მომზადება, სამსახურის უფროსის სახელზე შემოსული კორესპონდენციის დამუშავება, ხელმოსაწერი დოკუმენტების აღწერა და მისი სრულყოფილად და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადებაზე კონტროლი;

ზ) სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ განსახორციელებელი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურების წარმართვა და უზრუნველყოფა;

თ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

ი) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, სამსახურის უფროსის მითითებების, დავალებებისა და სხვა ფუნქციების განხორციელება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 6. აუდიტისა და პროფესიული განათლებისზე და მხედველობის დეპარტამენტი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრის მართვა;

ბ) რეესტრის მართვასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების უზრუნველყოფა (მესამე პირებთან ურთიერთობების ჩათვლით);

გ) რეესტრში ასახული ინფორმაციისა და სარეგისტრაციო წარმოების პერიოდში გამოვლენილ სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის სამსახურის უფროსისათვის მიწოდება, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ან სამართალდარღვევათა აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებათა დაგეგმვის მიზნით;

დ) რეესტრის მართვასთან დაკავშირებული ბიზნესპროცესების და წესების მომზადება;

ე) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, აუდიტორებთან/აუდიტორულ ფირმებთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელ ორგანოებთან, მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოებთან, სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობა;

ვ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის კანონით განსაზღვრულ ვადებში განხორციელება, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურების დაგეგმვა/განსაზღვრა, მათ შორის, სდპ-ების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ დამატებითი მოთხოვნებისა და კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების მიმართ დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

ზ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ განცხადებების განხილვა და მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე სამსახურის უფროსისათვის შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადების უზრუნველყოფა;

თ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის, პროფესიულ ორგანიზაციისა და სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული, შესაძლო რისკების მართვა და გამოვლენა;

ი) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის მომზადება, მონიტორინგის წინასწარი და საბოლოო შედეგების თაობაზე ანგარიშის პროექტის სამსახურის უფროსისათვის წარდგენა და წინასწარი შედეგების განხილვაში მონაწილეობის მიღება, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე სამსახურის უფროსისათვის წინადადებების შემუშავება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კ) მოკვლევის სისტემის ჩამოყალიბება, მოკვლევის ჩატარების წესებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება, სამსახურის ინიციატივით ან/და წარმოდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან დაკავშირებით მოკვლევის ინიცირება;

ლ) აუდიტორული საქმიანობის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრა;

მ) აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (I SA), მიმოხილვისა და დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებული პროცესების უზრუნველყოფა (მათ შორის, მესამე პირების მეშვეობით);

ნ) ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებული პროცესების უზრუნველყოფა (მათ შორის, მესამე პირების მეშვეობით);

ო) პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ და სამსახურისათვის წარდგენილ, აუდიტორთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესებზე შესაბამისი წინადადებების მომზადება;

პ) აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (I AASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC) სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებული პროცესების უზრუნველყოფა (მათ შორის, მესამე პირების მეშვეობით);

ჟ) ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული სასერტიფიკაციო განათლების, საგამოცდო პროცესისა და განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების განსაზღვრა და შესაბამისი სტანდარტების და წესების შემუშავება;

რ) პროფესიული სერტიფიცირების (მათ შორის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციების წევრი ფიზიკური პირებისათვის საქართველოს სამართლის საკვალიფიკაციო ტესტის ჩაბარების) უზრუნველყოფისათვის შესაბამისი პროექტების შემუშავება;

ს) პროფესიული ორგანიზაციების, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს და კანონით განსაზღვრული პროფესიული განათლების საქმიანობით დაკავებული სხვა პირების მიერ კანონთან და სამსახურის მიერ დადგენილ წესებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგის განხორციელება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ტ) პროფესიული ორგანიზაციების, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს და კანონით განსაზღვრული პროფესიული განათლების საქმიანობით დაკავებული სხვა პირების მიმართ მოთხოვნების შესრულებისა და პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების პროცესში გამოვლენილ სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის სამსახურის უფროსისათვის მიწოდება, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ან სამართალდარღვევათა აღმოფხვრისათვის შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვის მიზნით;

უ) სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესის აღიარების წესისა და განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარების წესის განსაზღვრისათვის შესაბამისი პროცედურების განხორციელება;

ფ) აღიარებული სასწავლო პროგრამებისა და განგრძობითი განათლების პროგრამების, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოების რეესტრების მართვა და მასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების უზრუნველყოფა (მესამე პირებთან ურთიერთობების ჩათვლით);

ქ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის უფროსის ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, კანონმდებლობაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ, ნორმატიული აქტების პროექტების მიღებისათვის საჭირო პროცედურების უზრუნველყოფა;

ღ) სამსახურის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამსახურთან არსებული საბჭოს მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

ყ) კანონით განსაზღვრულ პროფესიულ ორგანიზაციებთან, უდიტორებთან/აუდიტორულ ფირმებთან, მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

შ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სასამართლოში კომპეტენციის ფარგლებში;

ჩ) დეპარტამენტის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ საჩივრებზე რეაგირება და საბჭოსთან თანამშრომლობა, მათ შორის, სათანადო ინფორმაციის მომზადება საბჭოს სხდომაზე გასატანად;

ც) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, სამსახურის უფროსის მითითებების, დავალებებისა და სხვა ფუნქციების განხორციელება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 7. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ფინანსური, მმართველობის და სახელმწიფოსათვის გადახდილი თანხების შესახებ ანგარიშგებების ვებ-გვერდთან დაკავშირებული ბიზნესპროცესების და წესების მომზადება, მართვა და საჯაროობის უზრუნველყოფა;

ბ) სუბიექტების მიერ ანგარიშგებების მომზადების, შედგენის, წარდგენისა და გამოქვეყნების პროცესში გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის სამსახურის უფროსისათვის მიწოდება, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ან სამართალდარღვევათა აღმოფხვრისათვის შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვის მიზნით;

გ) დაინტერესებული პირების მიერ მეოთხე კატეგორიის საწარმოების მიერ სამსახურისათვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებებით დაინტერესებული პირების მიერ ანგარიშგებების მოთხოვნის წესის პროექტის შემუშავება;.

დ) ანგარიშგებების ერთიანი სისტემის შესაქმნელად თანამშრომლობა შესაბამის უწყებებთან/ორგანოებთან;

ე) სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებების ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგის რისკზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის შემუშავება და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით თანამშრომლობა სუბიქტებთან და სხვა მარეგულირებელ/ საზედამხედველო ორგანოებთან;

ვ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული და გამოცემული სრული სტანდარტების, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IAS), ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (IFRIC) მიერ ან ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ მიღებული ინტერპრეტაციების და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებული პროცესების უზრუნველყოფა (მათ შორის მესამე პირების მეშვეობით);

ზ) მესამე კატეგორიების საწარმოებისთვის (IFRS for SMEs და ევროდირექტივების მოთხოვნების საფუძველზე) გამარტივებული ანგარიშგების წესების პროექტების შემუშავება და სამსახურის უფროსისათვის წარდგენა;

თ) მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შემუშავება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შემუშავება;

კ) მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის პროექტის შემუშავება;

ლ) სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადების, წარდგენისა და გამოქვეყნების წესის პროექტის შემუშავება;

მ) სამსახურის მიერ შემუშავებული ანგარიშგების სტანდარტებისა და წესების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტებების გაცემა;

ნ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის უფროსის ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, მათ შორის, კანონმდებლობაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ ნორმატიული აქტების პროექტების მიღებისათვის საჭირო პროცედურების უზრუნველყოფა;

ო) სამსახურის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამსახურთან არსებული საბჭოს მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

პ) კანონით განსაზღვრულ პროფესიულ ორგანიზაციებთან, უდიტორებთან/აუდიტორულ ფირმებთან, მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

ჟ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სასამართლოში კომპეტენციის ფარგლებში;

რ) დეპარტამენტის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ საჩივრებზე რეაგირება და საბჭოსთან თანამშრომლობა, მათ შორის სათანადო ინფორმაციის მომზადება საბჭოს სხდომაზე გასატანად;

ს) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, სამსახურის უფროსის მითითებებისა და დავალებებისა და სხვა ფუნქციების განხორციელება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №219

2016 წლის 9 სექტემბერი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი1871) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული:

1. დანართ №2-ში:

ა) ამოღებულ იქნეს ბიუჯეტის შემდეგი განმკარგველები:

„804	4444	ა(ა)იპ - „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება"
806	4446	ა(ა)იპ – „სამტრედიის მუნიციპალიტეტის პანთეონის, სასაფლაოების, ტერიტორიის გამწვანებისა და სანერგე მეურნეობის გაერთიანება"";

ბ) ბიუჯეტის განმკარგველი – 0956 – ა(ა)იპ „რიჯინ-საქართველოს" შემდეგ დამატებულ იქნეს ბიუჯეტის შემდეგი განმკარგველი:

„345	0957	ა(ა)იპ - „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა"";

გ) ბიუჯეტის განმკარგველი – 4996 – ა(ა)იპ „სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაოს" შემდეგ დამატებულ იქნეს ბიუჯეტის შედეგი განმკარგველები:

„1357	4997	ა(ა)იპ - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი"
1358	4998	ა(ა)იპ - „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი"
1359	4999	ა(ა)იპ -„ქალაქ ახალციხის ტბა""".

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. დანართ №3-ში სახაზინო კოდის - 7333 – სსიპ -„ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური“ შემდეგ დამატებულ იქნეს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდი:

„ააიპ - „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური“	7334“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №216

2016 წლის 8 სექტემბერი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, მუხლი 2552) დამტკიცებული წესის 71[1] მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„5. პირისათვის საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრა ფიქსირდება „საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვადის განსაზღვრის აქტით" (დანართი №30[2]) (შემდგომში – აქტი), რომელიც შესაძლებელია შედგეს როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. წერილობითი ფორმით აქტი დგება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება საგადასახადო ორგანოს, ხოლო მეორე ბარდება/ეგზავნება პირს. ელექტრონული ფორმით აქტი დგება ერთ ეგზემპლარად და ბარდება/ეგზავნება პირს. ამასთან, დასაშვებია ელექტრონული ფორმით შედგენილი აქტის ამობეჭდვა და გაგზავნა პირისათვის. ელექტრონული ფორმით შედგენილ აქტზე, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა ხელმოწერა ხორციელდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ელექტრონული ხელმოწერით, რომელიც არის მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №215

2016 წლის 8 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით (ვებგვერდი, 17.07.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016392) დამტკიცებულ „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)"-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და „ჯგუფი 24"-ის „შენიშვნა სუბპოზიციისათვის" შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის დამატებითი შენიშვნა:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დამატებითი შენიშვნა: 2402 10 000 02 სასაქონლო ქვესუბპოზიციის სიგარილა (წვრილი სიგარა) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: მისი დიამეტრი არ უნდა აღემატებოდეს 1,2 სანტიმეტრს, ხოლო ერთი სიგარილას წონა არ უნდა აღემატებოდეს 3 გრამს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №214

2016 წლის 8 სექტემბერი, ქ. თბილისი

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით (სსმ III, 03.08.2005წ., №91, მუხ.1035) დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ (დანართი №1) მე-2 პუნქტის „ჰ.ჰ.კ“ და „ჰ.ჰ.კ[1]“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ.ჰ.კ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი; მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი (გარდა სერტიფიკატის დანართისა); პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – პროფესიული დიპლომი; სახელობო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი; საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი; სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი; ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჰ.ჰ.კ[1]) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დუბლიკატი; მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის (გარდა სერტიფიკატის დანართისა) დუბლიკატი; საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის დუბლიკატი; პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – პროფესიული დიპლომის დუბლიკატი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამე დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №207

2016 წლის 30 აგვისტო, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში – სატვირთო მანიფესტის წარდგენით, ხოლო კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების შემოტანისას – აგრეთვე საგადასახადო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო გამშვები პუნქტი, გაფორმების ეკონომიკური ზონა, საბაჟო ტერმინალი, ხოლო ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის 3[2] პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საბაჟო საწყობი) საქონლის ფაქტობრივი განთავსებით;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტები:

„3^1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საზღვაო ტრანსპორტით შემოტანილი კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადგილზე წარდგენისას საგადასახადო ორგანოს მიერ ხორციელდება საქონლის სავალდებულო დათვალიერება/ექსპერტიზა. საჭიროების შემთხვევაში, ასეთი საქონლის ექსპერტიზა შეიძლება განხორციელდეს სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერაც.

3^2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ფოთის პორტის გავლით შემოტანილი კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ საბაჟო საწყობში, რომელიც აკმაყოფილებს „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №471 დადგენილებით გათვალისწინებულ პირობებს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 31 აგვისტოდან.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებლი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №203

2016 წლის 26 აგვისტო, ქ. თბილისი

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით (ვებგვერდი, 17.07.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016392) დამტკიცებულ „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)”-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „კარი IV“-ის „ჯგუფი 16“-ის 1605 სასაქონლო პოზიცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1605	**მზა ან დაკონსერვებული კიბოსებრნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები:**	
1605 10 000 00	**— კიბორჩხალები**	**—**
	– კრევეტები და ხერხისებრი კრევეტები:	
1605 21 000 00	**— — ჰერმეტულ საფუთავებში**	**—**
1605 29	**– – დანარჩენი:**	
1605 29 100 00	**— — — პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2 კგ-ისა**	**—**
1605 29 900 00	**— — — დანარჩენი**	**—**
1605 30	**– ასთაკვები:**	
1605 30 100 00	**— — ასთაკვების ხორცი, თბურად დამუშავებული, ასთაკვების ზეთისა ან პაშტეტის, პასტის, წვნიანებისა ან საწებლების დასამზადებლად**	**—**
1605 30 900 00	**— — დანარჩენი**	**—**
1605 40 000 00	**— კიბოსებრნი დანარჩენი**	**—**
	– მოლუსკები:	
1605 51 000 00	**— — ხამანწკები**	**—**
1605 52 000 00	**— — სავარცხელა, სამეფო სავარცხელას ჩათვლით Pecten, Chlamys ანPlacopecten გვარების**	**—**
1605 53	**– – მიდიები (*Mytilus* spp., *Perna* spp.):**	

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1605 53 100 00	— — — ჰერმეტულ საფუთავებში	—
1605 53 900 00	— — — დანარჩენი	—
1605 54 000 00	— — კალმარები და მელანთევზები	—
1605 55 000 00	— — რვაფეხები	—
1605 56 000 00	— — ორსადგულიანები	—
1605 57 000 00	— — ,,ზღვის ყური" ჰალიოტისი	—
1605 58 000 00	— — ზღვის ლოკოკინები	—
1605 59 000 00	— — დანარჩენი	—
	– წყლის სხვა უხერხემლოები:	
1605 61 000 00	— — გოლოთურიები	—
1605 62 000 00	— — ზღვის ზღარბები	—
1605 63 000 00	— — მედუზები	—
1605 69 000 00	— — დანარჩენი	— “

2. „კარი XXII“-ის „ჯგუფი 99“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯგუფი 99

საქონელი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის

შენიშვნა:

1. ამ ჯგუფში საქონელი ჩაირთვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისთვის.

2. 9905 00 000 01 ქვესუბპოზიციაში ჩაირთვება იმპორტისა და ექსპორტის გადასახდელებისაგან გათავისუფლებული საქონელი.

3. 9905 00 000 02 ქვესუბპოზიციაში ჩაირთვება საქონელი, რომელიც არ იბეგრება იმპორტის გადასახადით, აქციზითა და ექსპორტის გადასახდელებით და არ ექვემდებარება არასატარიფო ღონისძიებებს.

4. ამ ჯგუფში არ ჩაირთვება 87-ე ჯგუფის ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
9905	საქონელი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკურისაქმიანობ ისათვის	
9905 00 000 01	— უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის ან/და ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით)პირადი სარგებლობისათვის შემოტანილი ან გატანილი საქონელი;არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით (სამსახურებრივი მივლინებით ან შრომითი ხელშეკრულებით) შემოსვლისას შემოტანილი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი; უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი 15 000 ლარის ღირებულების საქონელი; საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირის მიერ შემოტანილი პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი;საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი ფიზიკური პირის საქონელი	—
9905 00 000 02	— ფიზიკური პირის პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი	— “.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №115/ნ

2016 წლის 13 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთათვის სამინისტროს ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 მაისის №56/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთათვის სამინისტროს ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 მაისის №56/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 27/05/2013, ს/კ: 430030000.22.022.016576) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთათვის სამინისტროს ჯილდოს გაცემის წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კომისიას ტექნიკურ დახმარებას უწევს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ალექსანდრე ჯეჯელავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №90/04

2016 წლის 5 სექტემბერი, ქ. თბილისი

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №33/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №33/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-14 და მე-15 პუნქტები:

„14. მისო, რომელიც ახორციელებს ნაღდ ფულთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ვალდებულია არამეწარმე ფიზიკური პირისგან ყოველგვარი საზღაურის და შეფერხების გარეშე განახორციელოს „ლარის ბანკნოტების და მონეტების ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმების და მათი მიღება-გამოცვლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2011 წლის 27 ივნისის №4 დადგენილებით განსაზღვრული I და II კატეგორიის ლარის ბანკნოტების და მონეტების გამოცვლა ან გადაცვლა სხვა ნომინალის ლარის ბანკნოტებზე ან მონეტებზე (გარდა ყალბი ლარის ბანკნოტების და მონეტებისა).

15. მისო ვალდებულია არ დაუშვას „ლარის ბანკნოტების და მონეტების ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმების და მათი მიღება-გამოცვლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2011 წლის 27 ივნისის №4 დადგენილებით განსაზღვრული II კატეგორიის ლარის ბანკნოტების და მონეტების მიმოქცევაში დაბრუნება და უზრუნველყონ მათი კომერციულ ბანკში ჩაბარება ან გამოცვლა. “.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №89/04

2016 წლის 5 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ამ ბრძანების დაუყოვნებელი ამოქმედება განპირობებულია კომერციული ბანკების საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების აუცილებლობით.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

დანართი №2

ბანკის დასახელება	**IBAN კოდი**
საქართველოს ეროვნული ბანკი	NB
სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო“	AZ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სს „ბაზისბანკი“	BS
სს „ბანკი ქართუ“	CR
სს „სილქ როუდ ბანკი“	BT
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“	VT
სს „ზირაათ ბანკის“ თბილისის ფილიალი	ZB
სს „თიბისი ბანკი“	TB
სს „კაპიტალ ბანკი“	IN
სს „ტერაბანკი“	KS
სს „პროგრეს ბანკი“	PG
სს „პროკრედიტ ბანკი“	PC
სს „საქართველოს ბანკი“	BG
სს „ლიბერთი ბანკი“	LB
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“	HB
სს ბანკი „რესპუბლიკა“	BR
სს „იშბანკი საქართველო“	IS
სს „პაშა ბანკი საქართველო“	PB
სს „ფინკა ბანკი საქართველო“	FG

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

დადგენილება №5

2016 წლის 9 სექტემბერი, ქ. თბილისი

„სესხების უზრუნველყოფის სახეობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2010 წლის 23 აპრილის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო ადგენს:

მუხლი 1

„სესხების უზრუნველყოფის სახეობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2010 წლის 23 აპრილის №3 დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-5 პუნქტი:

„5. საჭიროების შემთხვევაში ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით სესხის უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სახეობის აქტივები.“.

მუხლი 2

ამ დადგენილების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია კომერციული ბანკების საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №217

2016 წლის 8 სექტემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111, 3.01.2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 78-ე მუხლის:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. ლუდზე, რომელიც ჩამოსხმულია ბოთლებში, ქილაში და კასრში, მატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება ხორციელდება თავსახურზე. კასრის თავსახურზე ნიშანდება ხორციელდება კასრის სარქველის ერთჯერადი გამოყენების დამცავ საცობზე. ლუდის ნაწარმზე არამატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება ხდება ბოთლის, ქილის თავსახურზე ან არსებული ტარის ძირზე.“;

ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 პუნქტი:

,,7^1. ცალკეულ შემთხვევებში, შემოსავლების სამსახურთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, 5 ლიტრი და მეტი ტევადობის ლუდის ნაწარმზე სავალდებულო ნიშანდება შესაძლებელია განხორციელდეს ამ მუხლის მე-7 პუნქტისგან განსხვავებული წესით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №205

2016 წლის 26 აგვისტო, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 25^1 მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის/მატერიალური საგნის (მიუხედავად მისი ფორმისა ან ბუნებისა) ტრანსპორტირებისას, რომლის გადაადგილება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხის“ შესაბამისად, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას.“.

2. 39-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირს, რომელსაც ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება და შემოსავლების მიმღები პირის შესახებ არაუგვიანეს გადასახადის დაკავების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოსათვის ინფორმაციის წარდგენა, ასეთი ინფორმაცია შესაძლებელია წარდგენილ იქნეს №II-07 დანართის ფორმით.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მაგალითი:

„მაგალითი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პირმა, რომელსაც ევალებოდა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება, განახორციელა განაცემი და არ დააკავა შესაბამისი გადასახადი გადახდის წყაროსთან. აღნიშნულმა პირმა ასევე არ წარმოადგინა საგადასახადო ორგანოში „ინფორმაცია საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ“.

აღნიშნულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ პირს ევალებოდა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება, იგი ვალდებულია, წარმოადგინოს საგადასახადო ორგანოში „ინფორმაცია საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ“, მიუხედავად იმისა, რომ მან არ დააკავა შესაბამისი გადასახადი გადახდის წყაროსთან.“;

გ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. დანართი №II-08 ამოღებულ იქნეს.

4. 77^1 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე და უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთი შეადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 10 პროცენტის ჯამს.“.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

3. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Jurnali ~gadasaxadebis~ redaqcia

gTavazobT

konsultaciebs sagadasaxado, buRaltruli aRricxvisa da sabuRaltro programa ~oris-buRalteria~-sTan dakavSirebul sakiTxebze.

konsultaciebi Catardeba winaswar SeTanxmebul droSi.

Cveni sakontaqto telefonebia: 230-78-51, 5-93-79-10-77

valutis kursi

	aSS dolari	2.3167		+0.0056
	evro	2.5866		-0.0074
	girvanqa sterlingi	3.0245		-0.0183

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ
გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com